საქართველოს მთავრობის

დადგენილება №269

2019 წლის 7 ივნისი

ქ. თბილისი

**„მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/05/2019, 300310000.10.003.021272) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების“:

**1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი – თუ ნებართვის გაცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს მათ მფლობელობაში არსებულ საავტომობილო გზაზე ან გზისპირა ზონებში ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სანაპიროს საინჟინრო დაცვის ზონაში;“.

**2. მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„გ) ეკოლოგიური კვლევა – ინფორმაცია გრუნტის წყლების, ნიადაგის ან/და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შესახებ, ინფორმაცია მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული დამაბინძურებელი ობიექტების შესახებ (დასაბუთებული საჭიროების შემთხვევაში).“.

**3. დანართი 1 – შენობა-ნაგებობის კლასები და მშენებლობის სახეები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„დანართი 1. შენობა-ნაგებობის კლასები და მშენებლობის სახეები

| № | დასახელება | მახასიათებლები და პარამეტრები | | | | | | | კლასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ფართობი | მოცულობა | სიმაღლე | ჩაღრმავება | მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე | დიამეტრი | სხვა მახასიათებელი | |
| | | 50 $მ^2$- | - | 5 მ-მდე | 2 მ-მდე | 6 მ-მდე | - | გარდა საცხოვრებელი | I |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მდე | | | | | | ფუნქციისა | |
| | | 500 მ$^{2}$-მდე | - | 12 მ-მდე | 4 მ-მდე | 7 მ-მდე | - | მათ შორის, საცხოვრებელი ფუნქციის I კლასის შენობა | II |
| 1. | **შენობები** | 6000 მ$^{2}$-მდე | - | 22 მ-მდე | 4 მ-ზე მეტი | 12 მ-მდე | - | - | III |
| | | 6000 მ$^{2}$-ზე მეტი | - | 22 მ-ზე მეტი | - | 12 მ და მეტი | - | - გარდა 24 მ-ზე მეტი მალის მქონე ხიდებისა | IV |
| | | - | - | - | - | - | - | ხიმინჯიანი საძირკვლის მქონე | |
| | | - | 20 მ$^{3}$-მდე | 10 მ-მდე | 10 მ-მდე | 5 მ-მდე | - | - | I |
| | | - | 60 მ$^{3}$-მდე | 15 მ-მდე | 15 მ-მდე | 7 მ-მდე | - | - | II |
| 2. | **ნაგებობები** | - | 200 მ$^{3}$-მდე | 30 მ-მდე | 20 მ-მდე | 12 მ-მდე | - | - | III |
| | | - | 1000 მ$^{3}$-მდე | 50 მ-მდე | 30 მ-მდე | 24 მ-მდე | - | - | IV |
| | | - | - | - | - | - | - | ხიმინჯიანი საძირკვლის მქონე | |
| | **ხაზობრივი ნაგებობები** | | | | | | | | |
| 3. | ნავთობსადენი | - | - | - | - | - | - | შიდასარეწაო ან/და შიდასაობიექტო | IV |
| | | - | - | - | - | - | - | დაბალი წნევის | I |
| 4. | გაზსადენი | - | - | - | - | - | - | საშუალო წნევის გაზსადენი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის გაზმომარაგებისთვის, წარმადობით 500 მ$^{3}$ /სთ-მდე | III |
| | | - | - | - | - | - | - | მაღალი წნევის გაზსადენი, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლის გაზმომარაგებისთვის, 500 მ$^{3}$/სთ და ზევით წარმადობით | IV |
| 5. | წყალსადენი | - | - | - | - | - | 500 მმ-მდე | მუშა წნევის 10 ატმოსფერომდე | I |
| | | - | - | - | - | - | 1400 | მუშა წნევის 25 | III |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | მმ-მდე | ატმოსფერომდე | |
| 6. | წყალარინების მილი | - | - | - | - | - | 600 მმ-მდე | - | I |
| | | - | - | - | - | - | 1500 მმ-მდე | - | III |
| 7. | ელექტროგადამცემი ხაზი | - | - | - | - | - | - | 35 კ ვოლტამდე | I |
| | | - | - | - | - | - | - | 110 კ ვოლტამდე | III |
| | | - | - | - | - | - | - | 220 კ ვოლტამდე | IV |
| 8. | კავშირგაბმულობის ხაზი | - | - | - | - | - | - | არსებული ინფრასტრუქტურის გამოყენებით | I |
| | | - | - | - | - | - | - | ტრანშეის/თხრილის მოწყობით | I |
| 9. | სამელიორაციო და საირიგაციო ნაგებობა | - | - | - | - | - | - | წარმადობა 1-დან 10 მ$^3$-მდე წმ-ში | IV |
| 10. | ღობე | - | - | 2,2 მ-მდე | - | - | - | - | I |
| | | - | - | 4 მ-მდე | - | - | - | - | II |
| | | - | - | 4 მ-ზე მეტი | - | - | - | - | III |
| 11. | საავტომობილო გზა | - | - | - | - | - | - | ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა | III |
| 12. | ქუჩა | - | - | - | - | - | - | ქუჩის ნაწილი, რომელიც არის ჩიხი/გასასვლელი | I |
| | | - | - | - | - | - | - | გამჭოლი ქუჩა, რომელიც არ არის გამზირი ან/და ბულვარი და არ არის დასახლების განვითარების დერეფნის შემადგენელი ნაწილი | III |
| | | - | - | - | - | - | - | გამჭოლი ქუჩა, რომელიც არის გამზირი ან/და ბულვარი და დასახლების განვითარების დერეფნის შემადგენელი ნაწილია | IV |
| 13. | რკინიგზა | - | - | - | - | - | - | ჩიხები და შიდა საწარმოო | IV |
| 14. | გვირაბი | | | | | | | გარდა V კლასის გვირაბისა | IV |
| | **სხვა ნაგებობები და დანადგარები** | | | | | | | | |
| | | | | | | | | 35 კ.ვოლტი და 110 | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15. | ელექტროქვესადგური | - | - | - | - | - | - | კ.ვოლტი | III |
| | | - | - | - | - | - | - | 220 კ.ვოლტი | IV |
| 16. | მზისა და ბიოგაზის დანადგარი | - | - | - | - | - | - | - | I |
| 17. | ჰიდროელექტროსადგური | - | - | - | - | - | - | 50 კვტ-მდე (V კატეგორიის) | I |
| | | - | - | - | - | - | - | 10000 კვტ-მდე (III და IV კატეგორიის) | III |
| | | - | - | - | - | - | - | 10 მვტ-იდან<br><br>50 მვტ-მდე (II კატეგორიის) | IV |
| 18. | ქარის ელექტროსადგური | - | - | - | - | - | - | - | III |
| 19. | გეოთერმული ელექტროსადგური | - | - | - | - | - | - | - | III |
| 20. | ღია სათამაშო ან/და სპორტული მოედნები | - | - | - | - | - | - | მაყურებელთა ტრიბუნების ან/და დამხმარე შენობა-ნაგებობების გარეშე | I |
| 21. | ღია ავტოსადგომები | - | - | - | - | - | - | სხვა შენობა-ნაგებობების გარეშე | I |
| 22. | წყალსაცავი | - | 1000<br><br>მ$^3$-მდე | - | - | - | - | - | II |
| | | - | 10 000<br><br>მ$^3$-მდე | - | - | - | - | - | III |
| | | - | 100 000 მ$^3$-მდე | - | - | - | - | - | IV |
| 23. | თხევადი ნივთიერების საცავი/ტერმინალი | - | ავზების ჯამური მოცულობით 100 მ$^3$-მდე | - | - | - | - | - | II |
| | | - | ავზების ჯამური მოცულობით 500 მ$^3$-მდე | - | - | - | - | - | III |
| | | - | ავზების ჯამური მოცულობით 1000 მ$^3$-მდე | - | - | - | - | - | IV |
| 24. | ვერტიკალური, დახრილი ან/და ჰორიზონტალური გადაადგილების მექანიკური საშუალება | - | - | - | - | - | - | - | III |
| 25. | ბუნებრივი ან/და გათხევადებული ნახშირწყალბადიანი სადგური | - | - | - | - | - | - | გარდა მოძრავი სადგურისა | IV |
| 26. | ავტოგასამართი სადგურები/ავტოგასამართი | - | - | - | - | - | - | - | IV |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კომპლექსები | | | | | | | | |
| 27. | მაგისტრალური გაზსადენის გაზგამანაწილებელი სადგური | - | - | - | - | - | - | წარმადობით 3000 მ კბ/სთ-მდე | IV |
| 28. | აეროდრომი | - | - | - | - | - | - | კოდური აღნიშვნით 4D-ზე ქვევით (ასაფრენი ზოლის სიგრძე 1800 მ-მდე და თვითმფრინავის ფრთების გაშლის სიგანე 36 მ-მდე) და მზიდუნარიანობით PCN 25-მდე | IV |
| | **მშენებლობის სახეები** | | | | | | | | |
| 29. | ახალი მშენებლობა (მათ შორის, მონტაჟი) | - | - | - | - | - | - | - | I-IV |
| 30. | შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია | - | - | - | - | - | - | - | I-IV |
| 31. | ექსტერიერის რეკონსტრუქცია | - | - | - | - | - | - | შენობა-ნაგებობებზე აბრებისა და რეკლამების განთავსება/მოწყობა | I |
| | | - | - | - | - | - | - | გარდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა | I |
| 32. | მზიდი ელემენტების რეკონსტრუქცია | - | - | - | - | - | - | - | I-IV |
| 33. | ქსელების რეკონსტრუქცია | - | - | - | - | - | - | - | I-IV |
| 34. | დემონტაჟი | - | - | - | - | - | - | - | I-IV |
| 35. | გარე რეკლამის განთავსების ნებართვით გათვალისწინებული ნაგებობა | - | - | - | - | - | - | - | I-IV |
| 36. | ლანდშაფტური მშენებლობა | - | - | - | - | - | - | - | I |
| 37. | მიწის სამუშაოები (მათ შორის, რელიეფის ცვლილებაც) | | 30მ$^3$ და მეტი | | | | | | I |
| 38. | კონდიციონერის, ბანკომატის, საჩრდილობლის, სამშენებლო მიწის ნაკვეთზე წყალსარინი არხებისა და დრენაჟების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის პანდუსების, აბრების, რეკლამების ან/და სავენტილაციო მილის მონტაჟი | - | - | - | - | - | - | - | I |
| 39. | კიბის,<br><br>ვიტრინის,<br><br>კარის, ფანჯრისა და სხვა ღიობების მოწყობა | - | - | - | - | - | - | - | I.“. |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | /დემონტაჟი, თუ აღნიშნული სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს | | | | | | | | |

**მუხლი 2**
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ - მინისტრი** **მამუკა ბახტაძე**